მედიის როლი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში

დასაწყისი მე-5 გვ

განვითარებისა და ინტეგრაციის ცენტრს" და ტელეკომპანია " მე-9 ტალღას" აქვს ერთობლივი პროექტი, სატელევიზიო თოქ-შოუ, რომელიც ყოველ ოთხშაბათს გადის ეთერში. შემიძლია ვთქვა, რომ ამ ყველაფერს ვაკეთებთ ენთუზიაზმზე და მაღალი შეფასებებიც დაიმსახურა კომპეტენტური ადამიანებისაგან. თუმცა მაინც შეგვექმნა პრობლემები, სტუდიაში არ მოდიოდნენ ადამიანები. ისინი უარს ამბობდნენ დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი, სამაგიეროდ მოცემულ თემებზე საუბრობდნენ კულისებში. ერთ-ერთი გადაცემის თემა იყო: მანდატურის შესვლა სკოლებში. მათი მიზეზით დაითხოვეს ერთ-ერთი სკოლის დირექტორი, თუმცა ამ თემაზე პირდაპირი ეთერის საშუალებით განთავისუფლებულმა დირექტორმაც კი არ ისაუბრა. ამის ნათელი მაგალითია, ის, რომ ადამიანები არიან ინერტულები.

ნინო თუნთია: როდესაც მიმდინარეობდა გარაჟების დემონტაჟის პროცესი ფოთში. თავად შევსთავაზე ჩემს მეზობლებს გამოეხატათ საზოგადოებრივი პოზიცია და დაგვეწყო გარკვეული სახის კამპანია, მაგრამ არავინ ხმა არ ამოიღო. ადამიანებს ეშინიათ, რომ მათ გააქტიურებას მოყვება პრობლემები მათ სამსახურში, მათი შვილების სამსახურებში და ასე შემდეგ.

ნინო ხურცია: მინდა პრესის

სიყვითლეს შევეხო, საზღვარგარეთ ყველა ტაბლოიდი ღიად აცხადებს, რომ არის ყვითელი პრესა. ისინი არ მალავენ თავიანთ არჩეულ კურსს, ჩვენთან კი ვერ გაიგებ, ჟურნალი რა ტიპისაა.

ირკლი აბსანძე: მსგავსი მაგალითები არსებობს საქართველოშიც, მაგალითად გაზეთ "PRIME TIME" ყველა ჟურნალისტი საქართველოს ჟურნალისტიკის ეთიკის ქარტიის ხელმომწერია. თუმცა ეს გაზეთი არის ყვითელი გაზეთი.

ნინო ხურცია: სავსებით ვეთანხმები ირაკლის, "PRIME TIME" ერთადერთი გაზეთია საქართველოში, რომელიც ამბობს, რომ ყვითელია. ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი სივრცე, რომ თუ არ ამბობენ, მოვთხოვოთ გვითხრან, სიმართლე. პირადად ძალიან დიდი მოთხოვნა მაქვს იბეჭდებოდეს ანალიტიკური წერილები. ძალიან გამიხარდა, როდესაც ადგილობრივ მედიასაშუალებაში მივაგენი ჟურნალისტურ გამოძიებას, რომელიც იყო პროფესიონალურ დონეზე შესრულებული, რეგიონის ჟურნალისტის მიერ. ეს ძალიან სასიამოვნო იყო ჩემთვის, ამ შემთხვევაში, ჩემი, როგორც მკითხველის ინტერესი სავსებით იყო დაკმაყოფილებული.

მანანა სანაია (ფილოსოფოსი): რესპუბლიკურ მედიაში ძალიან სავალალო მდგომარეობაა. როდესაც ვსაუბრობთ სამოქალაქო საზოგადოებაზე, ეს ნიშნავს რომ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ სამოქალაქო ღირსება. ადამიანებს მოქალაქეობრივ ღირსებებს გამუდმებით უკლავენ. ამის მიზეზია მძიმე სოციალური ფონი, ბრძოლა არსებობისათვის. ძნელია მშიერ-მწყურვალ საზოგადოებას ღირსებაზე ვესაუბროთ, თუმცა მაინც უნდა ვესაუბროთ. ვფიქრობ, რომ სოციალური ფონის დაწევა ხდება განზრახ, იმ მიზეზის გამო, რომ საზოგადოება უფრო მართვადი იყოს. რაც შეეხება არჩევნებს, მინდა გითხრათ, რომ ბოლო არჩევნების დროს ხმის დამთვლელ კომისიაში ვიყავი და ყველა ხმა ჩემი დათვლილია. ნამდვილად მიიღო მმართველმა პატიამ ხმების უდიდესი ნაწილი. მაშინ, როდესაც მმართველი პარტიის წარმომადგენელი მიიღებს ამდენ ხმას და მისი არც სახელი და არც გვარი არ იცის საზოგადოებამ, ეს სასაცილოა. მითუმეტეს მაშინ, როდესაც ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი, ქალაქში გამოჩენილი ადამიანი, მიიღებს გაცილებით ნაკლები ხმების რაოდენობას.

მოქალაქე რომელიც შიშის გამო აძლევს ხმას, მას ღისება არ აქვს. ამას ჰქვია საზოგადოება რომელსაც ღირსება არ აქვს.

ირაკლი აბსანძე: ქალბატონო მანანა, იქნებ გვითხრათ, როგორ უნდა მოვუაროთ ასეთ საზოგადოებას?

მანანა სანაია: ეს ადამიანს უნდა უნდოდეს. ღირსება ან აქვს ადამიანს ან არა. ღირსების შეძენა შეუძლებელია. მატერიალური მდგომარეობა არ უნდა განსაზღვრავდეს ადამიანის ღირსებას და მოქალაქეობრივ პოზიციას.

ადამიანთა დიდ ნაწილს მატერიალური მდგომარეობა კარნახობს როგორ მოიქცეს. უნდა გატარდეს ისეთი ტიპის ღონისძიებები, რომ ადამიანმა თავი დაცულად იგრძნოს. თუ გასულ წლებს შევედრებით დავინახავთ რომ, სიტყვის თავისუფლების ხარისხი, მედიის დამოუკიდებლობის ხარისხი ეხლა გაცილებით დაბალია. ყველაფერი გახდა ცენტრალიზებული. როდესაც გართმევენ უფლებებს რთულია საუბარი.

ირაკლი აბსანძე: ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკა ითვალისწინებს მოდერნიზაციისაკენ სწრაფვას. ამბობენ, რომ მოდერნიზაციის პროცესს ბევრი რამ შეეწირება.

მანანა სანაია: ჩვენს შემთხვევაში ეწირება პიროვნების ინტერესები. დემოკრატიის ხარისხი პიროვნების უფლებების გაზრდას ითვალისწინებს და როდესაც პიროვნების უფლებები გათვალისწინებულია იქ ღირსებაც მეტია.

ირაკლი აბსანძე: თუ საზოგადოებას არ აუხსნი საითკენ მიდის, მაშინ ის არ გამოგყვება და პროცესი გაჩერდება, ამიტომ ადამიანებს უნდა ავუხსნათ საითკენ მიდის ქვეყანაში პროცესები.

მანანა სანაია: თუნდაც ის, რომ ტელევიზიით გამოდის საქართველოს პეზიდენტი, არის ცხრა აპრილი და ესაუბრება ახალგაზრდობას. შეიძლება ამ დროს საუბარი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ლიდერებზე? შეიძლება ისაუბრო რა თქვა ირაკლი ლასანიამ ლონდონში?

ნინო ხურცია: დემოკრატია ან არის ან არ არის. დემოკრატია არ შეიძლება მართვადი იყოს. თუ მართავ ის უკვე არ არის დემოკრატია. ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ ან მივდივართ დემოკრატიისაკენ, ან არა. ჩვენ სულ გვაინტერესებს რას იტყვის სხვა, თუნდაც არჩევნებზე, გვაინტერესებ რას იტყვის უცხოელი დამკვირვებელი, რომლის აზრი პირადად საერთოდ არ მაინტერსებს.

ირაკლი აბსანძე: გეთანხმები, კარგია როდესაც ვიცით რა გვჭირს. ყველაფერი რაც გვემართება, კარგიც და ცუდიც გვემართება ჩვენი ღირსების თუ უღირსებობის გამო. გვყავს ხელისუფლება რომელსაც ვიმსახურებთ და ვთვლი, რომ უკეთესი ხელისუფლება ვიდრე ვიმსახურებთ. სოციალური პირობები გვაქვს დამსახურებაზე მეტი.

მანანა სანაია: ფოთში მოსახლეობამდე არ მიდის პრესა. მოსახლეობა არ ყიდულობს გაზეთს. ძალიან მარტივი იქნება რომ დაატარონ მოსახლეობაში პრესა და იყიდის ადამიანები, მაშინ ინფორმაციული ვაკუუმი აღარ იქნება.

ნინო თუნთია: გაზეთ "თავისუფალი სიტყვა"-ს პროექტის ფაგლებში უფასოდ ვარიგებდით გაზეთებს მოსახლეობაში. მინდა დაგარწმუოთ, წაკითხვაც კი ეზარებოდათ და ხშირად გვეუბნებოდნენ, მომეყოლა მათთვის გაზეთის შინაარსი. ასევე გვეუბნებოდნენ, რომ მიგვეცა მათთვის ბლომად გაზეთი, რათა შიგ გაეხვიათ სხვადასხვა საგნები. ყოველივე ამის შემდეგ სურვილიც არ გვქონდა დაგვერიგებინა მათთვის გაზეთები. თავდაპირველად მეც არ მქონდა გამოცდილება სტატიების წერისა, თუმცა მე დღეს ვწერ ჟურნალისტურ გამოძიებებს. მე მაქვს პრეტენზია გავიზარდო, როგორც ჟურნალისტი და არ დავჯერდე მხოლოდ იმას რაც ვიცოდი. თუ მე ვარ ექიმი უნდა ვიყო კარგი ექიმი, თუ ვარ პედაგოგი უნდა ვიყო კარგი პედაგოგი. უნდა ვიცოდეთ რისი უფლება გვაქვს და რა მოგვეთხოვება. სწორედ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი სამოქალაქო საზოგადოება ჩავთვალოთ აქტიურად.

თამუნა შონია (მერიის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი): ძალიან ბევრი ვისაუბრეთ საზოგადოების და მედიის დამოკიდებულებაზე. მაინტერესებს რატომ აქვს დაკარგული ნდობა საზოგადოების წარმომადგენლებს მედიის მიმართ? დავაბრალოთ ეს ჟურნალისტების არაპროფესიონალიზმს, მედია საშუალებების უინტერესობას თუ არის კიდევ სხვა მიზეზი?

ნინო თუნთია: გარდა იმისა, რომ მე წარმოვადგენ მედია საშუალებას, ასევე გვაქვს არასამთავრობო ორგანიზაცია. ჩვენ მუდმივად ვმუშაობთ ადამიანის უფლებების დაცვაზე, თუმცა მაინც ვგრძნობ ჩვენს მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას. მიუხედავად ყველაფერისა ადამიანები თვლიან, რომ რადგან გვქვია ჟურნალისტები. ჩვენ ვართ არასაიმედოები, არასანდოები და ვართ ხელისუფლების კურსის გამტარებლები.

თამუნა შონია: ის რაც ფოთში ხდება არ ხდებოდა ზუგდიდში, სადაც მე ვმუშაობდი ჟურნალისტად. აქ ადამიანებს ნდობა დაკარგული აქვთ მედიის მიმართ. არ არის მოთხოვნა გაზეთებზე.

8 წელიწადი ვმუშაობდი ბეჭვდურ მედიაში და მინდა გითხრათ, რომ საზოგადოება ძალიან აქტიური იყო. როდესაც გაზეთებს ვარიგებდით ცოცხალი რიგები გვედგა. ასევე საზოგადოება გვიკვეთავდა მასალებს და იყო მუდმივი კონტაქტი ჩვენსა და საზოგადოების წევრებს შორის.

ინგა გვასალია (რეგიონული გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" დირექტორი): ვერ დაგეთანხმები, თამუნა. ის რაც შენ თქვი ძალიან უცნაურია.

პრობლემა მედიასა და საზოგადოებას შორის მუდმივად არსებობს. ზუგდიდელი კოლეგებისაგან გამიგია, რომ აქვთ იგივე სახის პრობლემები მოსახლეობასთან რაც არის ფოთში. ჩემი აზრით საზოგადოება ზოგადად ძალიან პასიურია. ამის ნათელი მაგალითი რამდენიმე გვქონია. ორიოდე თვის წინ, ზამთრის სუსხიან ამინდში ხობის ერთ-ერთ მაღალმთიან სოფელში ჩვენი გაზეთის ხობის ბიუროს ჟურნალისტთან ერთად, სოფელში არსებული პრობლემის გასაშუქებლად რამდენიმე კილომეტრის ფეხით გავლის შემდეგ ავედით. საქმე იმაში გახლდათ, რომ სოფლის მოსახლეობა თვეების განმავლობაში ხიდის უქონლობის გამო ცენტრისგან მოწყვეტილი იყო და ხობში ჩამოსასვლელად მათ რამდენიმე კილომეტრის გავლა უხდებოდათ. თქვენ წარმოიდგინეთ სოფელში ასულებს ერთი ადამიანიც ვერ ვიპოვეთ ვინც ამ პრობლემაზე დაგველაპარაკებოდა.

ქრისტინე ქაჯაია(მოდერატორი): დისკუსიის მსვლელობის დროს გამოიკვეთა, რომ ქართულ მედია სივრცეში არსებობს პროფესიონალიზმის პრობლემა. ასევე იყო მსჯელობა, საზოგადოების პასიური წევრების შესახებ. საინტერესოა, რა მეთოდებით შეიძლება, რომ გავააქტიუროთ სამოქალაქო საზოგადოება და მედია გახდეს უფრო ხარისხიანი.

თამუნა შონია: ვფიქრობ, რომ ძირეული პრობლემა თვითშეფასების არარსებობაა. ადამიანები ვერ ხვდებიან, რომ პროფესიულ ზრდას საჭიროებენ და რომ ეს აუცილებელია, სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურებისათვის.

ირაკლია აბსანძე: პროფესიონალიზმის პრობლემა სწორედ განათლების სისტემაზეა მიბმული. ჩვენ, ჯერ კიდევ ვართ საბჭოთა პერიოდის განათლების სისტემაზე ორიენტირებული.

საქართველოში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში, არ ხდება ჟურნალისტიკის შესწავლა ძირეულად. ჟურნალისტიკა წარმოუდგენიათ საფეხურებად, რომელიც მერე ვითარდება სხვადასხვა თანამდებობებისაკენ. როდესაც ხარ ჟურნალისტი უნდა იყო სრულყოფილი ადამიანები. ქართული ჟურნალისტიკა დაიწყო იბერვიზიიდან. თაობათა მნიშვნელობანი ცვლა არ ხდება ქართულ მედია სივრცეში.

მანანა სანაია: ენა რომელზეც ქართული ჟურნალისტები საუბრობენ, ეს ქართული არ არის. როდესაც ვუსმენ რადიო "თავისუფლების: გამოშვებებს, გაოცებული ვარ, ქართული თითქმის სულ დავიწყებული აქვთ. რამდენიმე ჟურნალისტია რომელიც გამართული ქართულით საუბრობს.

ირაკლი აბსანძე: ენა ცოცხალი ორგანიზმია, იგი ვითარდება და ამიტომ მუდმივად ერთ ტემპზე ვერ ვისაუბრებთ. ყველა ინსტიტუციურ ენას აქვს საერთაშორისო სიტყვები და ეს სიტყვები შევიდა საერთაშორისო ლექსიკონში.

ქრისტინე ქაჯაია (მოდერატორი): შეჯამებისათვის, საინტერესოა რა არის გამოსავალი დღეს არსებული სიტუაციიდან. რა უნდა გააკეთოს, მედიამ იმისათვის, რომ სწორი გავლენა მოახდინოს სამოქალაქო საზოგადოებაზე?

ირაკლი აბსანძე: გამოსავალი არის გაერთიანება პრობლემების გარშემო, მათ აღმოსაფრხვლად ჩვენ თითონ უნდა ვითათბიროთ და შემდეგ უნდა განვახორციელოთ ადვოკატირების პროცესი. ყოველთვის არის შესაძლებელი ორგანიზაციებმა ერთმანეთი გადაკვეთონ. ის, რომ მერიის საინფორმაციო სამსახურის წარმომადგენელი ესწრება შეხვედრას, მაძლევს საშუალებას ვიფიქრო, რომ ჩვენ ხვალ ერთობლივ მუშაობას შევძლებთ, სხვადასხვა პრობლემატურ საკითხებზე.

თამუნა შონია: შეჯამებისათვის ვიტყვი, რომ მედია უნდა თამაშობდეს მოდერატორის როლს, საზოგადოებასა და სხვადასხვა სტრუქტურებს შორის. რაც შეეხება რა არის გამოსავალი, ვიტყვი, რომ გამოსავალია დავფიქრდეთ, რა არის საჭირო რათა მედიასა და საზოგადოებას შორის გამოინახოს საერთო ენა. ასევე მნიშვნელოვანია, ჟურნალისტები დაფიქრდნენ თავიანთ პროფესიონალიზმზე და გამუდმებით არ ტკეპნონ ერთი ადგილი. ირაკლის ვუპასუხებ, რომ ჩვენი სამსახურის მიზანია საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია იმ პროექტებზე რაც ქალაქში ხორციელდება.

სწორედ ამიტომ ჩვენ არ ვართ დიალოგის წინააღმდეგი.

ქრისტინე ქაჯაია (მოდერატორი): მადლობას მოგახსენებთ, საინტერესო დისკუსიისათვის. ვფიქრობ დღევანდელი შეხვედრა მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს თითოეულ ჩვენგანზე და დაგვაფიქრებს ჩვენს როლზე, საზოგადოებაში. დიდი მადლობა ყველას მობრძანებისათვის. მომავალ შეხვედრამდე.

პროექტის კოორდინატორი ქრისტინა ქაჯაია	პროექტის მხარდაჭერისათვის მადლობას ვუხდით ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის ბიუროს